პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

24 სექტემბერი
შაბათი

1917. შავი ზღვის ფლოტის ც. კ. მიიღო რეზოლიუცია მთელი ძალა უფლების სრულიად რუსეთის მ. ჯ. ქ. და გლ. დეპუტატების საბჭოს ხელში გადასვლაზე და მიწის გამოუსყიდველად გადაცემაზე სამდგილ-მამულო კომიტეტის განკარგულებაში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და [illegible]თა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— პოლონეთის მთავრობამ, საფრანგეთის წინადადებით, საბჭოთა რუსეთის ულტიმატუმი წაიკითხა, რომელშიაც მოითხოვს რიგის ხელშეკრულების [illegible] დადგენილებათა ასრულებას; თვითონ კი არ [illegible] ლობას და ხელს უწყობს თეთრ[illegible], რომელნიც თავს ესხმიან რუსეთს პოლონეთის ტერიტორიიდან.

№ 168 შაბათი, 24 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 24 სექტემბერი. 1921 წ. № 168

საქართველოს კომპარტიის ც. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება და თბილ. კომიტეტი

კვირას, 25 სექტემბერს სახელმწიფო ოპერის თეატრში მართავენ მუშების და წითელ არმიელთა

საერთო კრებას

მოხსენებით თემაზე: „გლეხობისადმი დახმარების კვირა" გამოვლენ ამხანაგები: ორახელაშვილი, ლისოვსკი და ელიავა.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე ადგილობრივი დროით.

ყველა ფული, რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ შეგროვილი, უნდა შედიოდეს სახალხო ბანკში კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე № 7 და კვიტანციები წარდგენილი იქნას კომიტეტში, რუსთაველის ქ., № 22.

საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი.

ძმური კავშირის დღესასწაული

განთავისუფლებულ საქართველოს მშრომელმა ხალხმა მეზობელ რესპუბლიკების წარმომადგენლებთან და კავკასიის განსაკუთრებული არმიის მეთაურებთან ერთად იდღესასწაულა ენკენისთვის 21-ს ამ არმიის სამი წლის თავი.

რუსეთის რევოლიუციონურმა წითელმა ჯარმა ოთხი წლის შეუწყვეტელი გმირული ბრძოლით, ქვეყნის არსებობის უსაშინელეს პირობებში, სძლია ყოველგვარი დაბრკოლებანი, დაამარცხა ყველა ფრონტებზე ირგვლივ შემორტყმული მტრების ურდოები, გასრისა შინაური კონტრ-რევოლიუცია. ერთი ნაწილი ამ გმირული ლაშქრის არის განსაკუთრებული კავკასიის არმია, რომელსაც წილად ხვდა განადგურება სამხრეთის რეაქციის, განთავისუფლება კავკასიის ერების, და კერძოთ ჩვენი ქვეყნის, იმპერიალისტებისა და მათი მელაქილობრივი დაქაშების ბრჭყალებისაგან, მისი ბედნიერი ხვედრი შეიქნა, აღმოსავლეთის დამონებული ქვეყნების კარებთან, ამაყათ და მტკიცე ხელით აღმართული იქონიოს უამრავ ბრძოლებიდან გამარჯვებით გამოტანილი წითელი დროშა—ეს სიმბოლო ამ ქვეყნებისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის საბოლოო განთავისუფლებისა. გასაკვირი არ არის ამიტომ ის განსაკუთრებული საზეიმო ხასიათი, რომელიც მიიღო კავკასიის ცალკე არმიის სამი წლის არსებობის აღსანიშნავათ გამართულმა დღესასწაულმა.

ჩვენმა მტრებმა, მტრებმა მშრომელი ხალხის, ერთა სოლიდარობის და მათი ძმური კავშირის, აამუშავეს მთელი თავისი ენერგია, გამოიყენეს ყოველნაირი შესაძლებლობა, რათა ჩვენი მხარის მშრომელ მასებზე გადაენერგათ გრძნობა დაუძლეველი მტრობისა და სიძულვილის რუსეთის წითელი ლაშქრისადმი, კერძოთ მეთერთმეტე არმიის მიმართ. მათ ისინი დასახეს ხალხის აწიოკებლებათ, ჯოჯოხეთური წამებისა და ტანჯვის მოციქულებათ, ხალხის გამანადგურებელ ავაზაკებათ. კავკასიის ერებმა, ჩვენი ქვეყნის მშრომელმა მასებმა, მთელი აღმოსავლეთის დამონებულმა ხალხმა, თავის საკუთარი თვალით იხილეს, ხედავენ დღესაც, დარწმუნდებიან კიდევ უფრო მომავალში, თუ ვისთან აქვთ მათ საქმე რევოლიუციონური ჯარის სახით და რა შავი ზრახვები ამოძრავებდა და ამოძრავებს ამ ჯარის ცილის მწამებელთ. ეს აშკარა შეიქნა განსაკუთრებული არმიის სამი წლის თავის დღესასწაულზე, როდესაც ჩვენმა ხალხმა, მისმა მთავრობამ, რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მეზობელ რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად, არმიისათვის დროშების ჩაბარებით, ოფიციალური გამოხატულება მისცეს იმ ძმურ კავშირს, რომელიც განმტკიცდა მათ და წითელ ჯარს შორის საერთო მტრებთან ბრძოლის პროცესში. ამ დღეს კავკასიის მშრომელი ხალხი ფიცსა სდებდა ერთხელ კიდევ, არმიის დღესასწაულის გამო, განმტკიცებულ კავშირზე, რომელიც აერთებს მას დიდ საბჭოთა ფედერაციის მებრძოლ ხალხებთან და მათ წითელ ლაშქართან. სექტემბრის 21-ის დღესასწაული ეს სიმბოლოა ჩვენი ძალების გაერთიანების, ჩვენი საერთო ბრძოლის, საერთო ბრწყინვალე გამარჯვების და ძველი ქვეყნის დასამარების.

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა წითელი ლაშქრის საზეიმო პარადზე

წითელ არმიელებს, მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წითელ გვარდიას მგზნებარე სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტის, საქართველოს პროფ.-წარმოებითი კავშირების ცენტრალური საბჭოს და საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალ. კომიტეტისაგან!

ამხანაგებო! დღეს, როცა ჩვენ ვზეიმობთ თქვენი ბრძოლის, თქვენი გამარჯვების სამი წლის თავს, როცა ვხედავთ თქვენს ფოლადისებურ მწკრივებს ხელახალი ბრძოლისათვის გამზადებულთ, ჩვენი თვალის წინ იშლება დიადი სურათი სამკვდრო-სასიცოცხლო დატაკების შრომისა კაპიტალთან, დაჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებელ კომუნიზმისა ხალხთა დამჩაგვრელ იმპერიალიზმთან. საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ თქვენ გაჩაღეთ ეს ბრძოლა და მახვილით უკაფავდით გზას მუშურ-გლეხურ დიქტატურას დასავლეთით და აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, ყველგან სადაც კი ისმოდა მშრომელი ხალხის გმინვა, სადაც ისმოდა ჟღარუნი ხალხის შემბორკველ ხუნდებისა.

ბრძოლით გაფანტეთ თქვენ რეაქციის ყველა ძალები დიდი რუსეთის სივრცეზე და მოადექით კავკასიონის ქედს. საქართველოს მშრომელნი გვანდენ იმ გმირს, რომელმაც ზეცას მოსტაცა ბედნიერების საიდუმლოება და დედა მიწაზე ჩამოუტანა ადამიანებს. ზეციურმა ძალებმა ეს გმირი სასტიკათ დასაჯეს, ის ჯაჭვებით მიაკრეს კავკასიონის ქედის ერთ-ერთ პიტალო კლდეზე და არწივ ქორები მიუსიეს საკორტნად და საწვალებლად. ძლევამოსილი იყო გმირი ამირანი პრომეთე, მაგრამ მისმა კუნთებმა ვერ დასწყვიტეს ბორკილები. მაგრამ გამოჩნდა მეორე გმირი ჰერკულესი, ის მიეშველა ამირანს და იხსნა ის ბორკილებისაგან, იხსნა ტანჯვისაგან.

ჩვენც დაბორკილი ვიყავით მთელი სამი წლის განმავლობაში, რადგან ბურჟუაზიული ზეცის ძლიერების საიდუმლოება გავამჟღავნეთ მშრომელთა მასებში და მით შესაძლებელი გავხადეთ ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა. იმპერიალიზმის ძალებმა მენშევიკების დახმარებით ჩვენ ხელფეხს ბორკილები დაადვეს. რამდენჯერმე შევეცადეთ თავის აშვებას, ხუნდების დამსხვრევას. ჩვენი ქვეყნის მაზრები რამდენიმე თვეების განმავლობაში აჯანყების ალით იყო მოცული. როცა დენიკინი ქ. ორიოლისაკენ დაიძრა და პროლეტარული რევოლიუციის სატახტო ქალაქს, წითელ მოსკოვს დაემუქრა, ჩვენ კვლავ დავჭიმეთ და ავამოძრავეთ კუნთები, რათა შავი ლაშქრის რამოდენიმე ნაწილი მაინც მოგვებრუნებინა ჩვენსკენ, მაგრამ იმპერიალიზმის და მენშევიკურ დემოკრატიის ძალებმა კვლავ გაგვაღებინა სისხლი და უფრო მაგრათ ჩაგვირაზა ციხის რკინის კარები. ესვე განმეორდა რამდენიმეჯერ შემდეგშიაც, სანამ არ მოგვისწრო პროლეტარულმა ჰერკულესმა, სანამ მან არ მიუმატა თავისი ძალა საქართველოს მშრომელი ხალხის ძალას და შესაძლებელი გახადა იმპერიალიზმის და მენშევიზმის ამ ბუნაგიდან გამოგდებასთან ერთად ჩვენი სრული განთავისუფლება.

დღეს თქვენთან ერთად, ამხანაგებო, ჩვენ ვცურავთ ოქტომბრის რევოლიუციის სხივებში, თქვენთან ერთად ვზეიმობთ თქვენი გმირული, თავდადებული ბრძოლის სამი წლის თავს. ამ დაუვიწყარი დღის აღსანიშნავად ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ მომართვა საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და ახალგაზრდათა ცენტრალურ ორგანიზაციებისა, რომელიც აღბეჭდილია ამ სამახსოვრო ალბომში:

1918—14 აგვისტო—1921 წ. წ.
მებრძოლ კომუნიზმის ლაშქარს

„სამი წლის ბრძოლა—სამი წლის გამარჯვება! ურალის პირქუშ ციცაბო ხეობებიდან ასტრახანის ცარიელ ველებით, გაკაფულია შენგან მთა-[illegible] გზა კავკასიის მთების მზიან მწვერვალებისაკენ. ამაყად მოგქონდა შენ წითელი დროშა, რომლითაც აგზარს სცემდი ურიცხვი მტრის ურდოებს, სძლიე მრისხანე წინააღმდეგობანი. „არც ერთი ნაბიჯი უკან"—შენი ბრძოლის ძახილია, და შენ მიდიოდი სულ წინ და წინ. ანგრევდი საპყრობილეებს, ამსხვრევდი ჯაჭვებს, ანთავისუფლებდი მონებს, სპობდი დამმონავებელთ. ეხმარებოდი მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლებას ჩაეწერა ცხოვრების ფურცლებში კომუნიზმის ანბანი. კავკასიის განაწამები ხალხები დიდი ხანია გელოდნენ შენ, დიდო განმათავისუფლებელო. აქ, ჩვენ მშობლიურ საქართველოში ყველაზე დიდხანს ვიტანჯებოდით ხალხთა გამცემლების მონობის ქვეშ, რომლებმაც მშრომელთა ქვეყანა გადააქციეს მშრომელთათვის ყინულის საპყრობილეთ. მაგრამ დაჰკრა ჟამმა და შენი დაკოჟრებული ხელების დახმარებით ჯაჭვები დაწყდა. ყინულის საპყრობილე დაიშალა ოქტომბრის რევოლიუციის სხივების გავლენით, რომლის მატარებელიც ხარ შენ, და ეხლა შენი დღესასწაულის დღეს, საქართველოს მშრომელნი გილოცვენ შენ მხურვალე სალამს, თავის ძმურ სიყვარულს. იდიდოს სახელი შენი მსოფლიო პროლეტარიატის ბაგეთი. იყოს გზა შენი გამარჯვებით და სიხარულით დაფენილი. დაე მოგბაძოს შენ მთელი ქვეყნის მუშა-გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა, კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ გაერთიანებულმა ბურჟუაზიულ ქვეყნიერების ძალადობასა და ჩაგვრასთან უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

გაუმარჯოს კომუნიზმის წითელ ლაშქარს!

გაუმარჯოს მის მიერ განთავისუფლებულ ხალხებს!

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი.

საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომუნისტურ წარმოებითი კავშირების ცენტრალური საბჭო.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი".

ვაშა წითელ არმიას! ვაშა პროლეტარული რევოლიუციის უშიშარ რაინდებს!!

(ამხ. ორახელაშვილი ალბომს აბარებს წითელი ჯარის უფროსს, ამხ. გეკკერს. დამსწრე ხალხის ტაშისცემა. ინტერნაციონალი. ჯარის ნაწილების და მუშათა ორგანოების „ვაშა!").

ლონდონი და მოსკოვი

ამ სათაურით „ჰუმანიტეში" მოყვანილია საინტერესო ნაწყვეტი ფრანგული სინდიკალიზმის გამოჩენილ თეორეტიკოს ჟორჟ სორელის წიგნის წინასიტყვაობიდან, რომელიც ეკუთვნის ედუარდ ბერტს: „საფრანგეთი გახდა ევროპაში რეაქციის ციხე-სიმაგრეთ—სწერს ბერტი. ჩვენი საზოგადოების განათლებულმა ნაწილმა ზიზღით აბრუნა ზურგი რევოლიუციას და პრუდონი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის ერთხელ კიდევ შეაჩვენებდა საფრანგეთს რევოლიუციონურ იდეალების,—ერთად ერთ მის კლასიკურ იდეალების ღალატისათვის.

საფრანგეთი ჩაიკეტა შავ და ჩლუნგ ნაციონალიზმის ვიწრო ნაჭუჭში, რომელიც იკვებება მხოლოდ ერთი გრძნობით: გერმანელებისადმი სიძულვილით, გრძნობით, რომელიც წარმოადგენს თავის თავად რაღაც გამოურკვეველ პატივმოყვარეობას, მედიდურობას და გაუზომელ შიშს, რომელიც ვერ გაფანტა სამხედრო გამარჯვებამაც კი. საფრანგეთის ბურჟუაზია, როგორც საშუალო, ისე წვრილი, ნამდვილი ჩამორჩენილი და კონსერვატიული კლასი მთელს ევროპაში, თრთოლვით შეჰყურებს გერმანიას, და რუსეთ-გერმანიის კავშირს; შიში უშლის მას ხელს თავი მისცეს მოსვენებას მიღწეული გამარჯვების პირობებში, რომელიც მას, მართალია ძვირად დაუჯდა. ბოლშევიკი და „ბოში"—გერმანელი,—აი ის ორი საშინელება, რომელიც ეჩვენება საფრანგეთის ბურჟუაზიას უაღრესად გაზრდილად, და როგორც არ უნდა დაუჯდეს ეს მას, ისინი უნდა იყვნენ განადგურებულნი თუ ევროპას სურს კვლავ შეინარჩუნოს ძველი, ბურჟუაზიული—და უმეტეს ხოლმე ჩვენი ნაციონალისტები,—ფრანგული წესწყობილება. მაგრამ ცხადია, რომ ეპიტეტი „ფრანგული" სახმარია ამ შემთხვევაში მხოლოდ მორცხვ პატრიოტულ საფარად „ბურჟუაზიული" ეპიტეტისთვის. თავისთავად ჩვენი „რევოლიუციონერები" ისეთი შოვინისტები არიან, რომ ჩვენი ნაქები ბურჟუაზია ყოველთვის მოახერხებს აათამაშოს ისინი თავის დუდუკზე, თავის ნაციონალური გრძნობების სიმებზე. თავის თავად ცხადია, ისინი არას დროს არ დასთანხმდებიან იცნონ მოსკოვის რეჟიმი, რეჟიმი უცხო ქვეყნის და მით უმეტესს დაექვემდებარონ მას; ვიდარც ლენინი თავის ჩამორჩენილი გლეხებით ვერ შესძლებს დაუმორჩილოს თავის დიქტატურას ისინი, შთამომავალნი დიდებული წინაპრების. ამ დამამცირებელი პერსპექტივების წარმოდგენით რომელიმე ჟან ლიონგეც ყელზე დადგება. ჩვენი ბურჟუაზია და მათი კორიფეები, ინტელიგენტები, განისვენებენ ივლისის დღესის და პარიზის კომუნის შემდეგ საფრანგეთის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სულისკვეთებით, ან და იმ სულიერი განწყობილებით, რომელმაც მოიცვა ბურჟუაზია 1906 წლის პირველი მაისის შემდეგ, როცა „შრომის საყოველთაო კონფედერაცია, რომელიც იყო მაშინ ავანგარდი საფრანგეთის რევოლიუციონურ-სინდიკალისტური მოძრაობის, შეიქმნა მისდამი საფრთხეთ, მის მაგიერ რომ ყოფილიყო იგი ხების ყოფის მორჩილი, როგორც არის ის დღეს ჟუოს და მერჰეიმის მეთაურობით. უეჭველად უნდა ითქვას, ბოლშევიკების თანამედროვე მოწინააღმდეგეთა შორის ჩვენ ვხედავთ დღეს იმავე ელემენტებს, რომლებიც გამოვიდნენ იმ დროს წინააღმდეგ რევოლიუციონური სინდიკალიზმისა, რომლის თეორეტიკოსი იყო, ჟორჟის სიტყვით, სორელი. ომმა და რევოლიუციამ მხოლოდ მისცა ამ ოპოზიციას უფრო ფართე და საერთაშორისო ხასიათი, რომელიც მას იმ დროს არ ჰქონდა. ბრძოლამ პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შორის მიიღო ჭეშმარიტად საერთაშორისო ხასიათი. ევროპას ორი პოლიუსი აქვს: ლონდონი-კაპიტალიზმის ცენტრი და მოსკოვი—სული და გული პროლეტარული რევოლიუციის. და სოციალისტები, რომლებიც მისდევენ მოსკოვის დროშას, რაგინდ მან ტიაშიც არ უნდა გაეხვიონ ისინი, შეიძლება დაახასიათო მხოლოდ როგორც მოღალატეები.

კომინტერნის მესამე კონგრესი

ამხ. რადეკის სიტყვა

ნება მიბოძეთ,—ამბობს ამხ. რადეკი,—ორი დღის კამათის შემდეგ გაუკეთო მას ჯამი და აღვნიშნო ის ფაქტები, რომელიც აქ გამომჟღავნდა. პირველად მიიღო თეზისები ამხანაგმა ლადზარიმ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩემ მიერ ისინი გაშუქებული არ იყო. ის მათში ყველაფერს ეთანხმებოდა იმ ადგილის გამოკლებით სადაც ლაპარაკი იყო იტალიაზე. ამხანაგებმა ჩეხო-სლოვაკიიდან მიიღეს ყველა თეზისები მხოლოდ იმ ადგილის გამოკლებით, რომელიც ჩეხო-სლოვაკიას ეხებოდა. ინგლისელი ამხანაგები სიყვარულს უცხადებდნენ თეზისებს იმდენად, რამდენადაც იმათში ლაპარაკი არ იყო ინგლისზე. თუ დაუჯერებთ ლაძარის, ჩეხო-სლოვაკიის ამხანაგები მათი ცოდვებისათვის ჩამოსახრჩობნი არიან. ჩეხელები დაჟინებით არ მოითხოვდნენ იტალიელების ჩამოხრჩობას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამის წინააღმდეგნი არ იყვნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსჯელობის დროს ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ინტერნაციონალის საზოგადო დებულებით. ოპორტუნისტული საშიშროება მუშათა მოძრაობიდან მსოფლიო მასშტაბით სავსებით არ არის განდევნილი. ჩვენ გვაქვს კიდევ ამსტერდამის ინტერნაციონალი ჩვენ ყველგან, საფრანგეთს გარდა, ძლიერი ოპორტუნისტულ პარტიებთან გვაქვს საქმე. ოპორტუნიზმის საშიშროება ჯერ კიდევ განდევნილი არ არის თვით ინტერნაციონალიდან, და ის მით უფრო გაიზრდება, რამდენად ნელა წავა ცხოვრების ტემპი. ოპორტუნიზმის საშიშარ სიმპტომად ვთვლი იმას, რომ აქ არიან პარტიის წარმომადგენელნი, რომლებიც ფიქრობენ რომ იმათ ყველაფერი რიგზე აქვთ. ჩვენ ვილაპარაკეთ ჩეხო-სლოვაკიის პარტიაზე სულ სხვანაირად, ვ დრო, ჩვენ ეს განზრახული გვქონდა კონგრესამდე, ვინაიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ აქ ლაპარაკი იყო განვითარების ნელ პროცესზე, მაგრამ მარცხნივ განვითარების პროცესზე. ხოლო როდესაც ამხ. ბურიანი აქ გამოდის და ამბობს, მას შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, პარტიის მოქმედების შესახებ დეკემბრის გაფიცვის დროს, რომ ჩეხო-სლოვაკიის პარტია არის ძლიერ კარგი პარტია, რომელიც ცენტრალურ კომიტეტის პირველი ნიშნით მზად არის გავიდეს ბრძოლაში,—ჩვენ ვამბობთ: ეს არის მეორე ინტერნაციონალის მეთოდები და არა კომუნისტურის. ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუცია მძიმე გზაა, სადაც ბევრ შეცდომებს აქვს ადგილი. და თუ იმ ქვეყნიდან, სადაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინედ კომუნისტები ნემეცთან და ხუსუკთან იყვნენ ერთად, ჩვენ გვესმის, რომ იქ ყველაფერი რიგზეა დაყენებული *), ჩვენ ყველაზე მეტად ეს მტკიცება გვაწუხებს, ვიდრე ძალიან ცუდი ოპორტუნისტების ძალიან ცუდი გაფრთხილება... აიღეთ ინგლისელი ამხანაგები. მე ვამტკიცებ რომ მათი პარტიული პრესის [illegible] დევით შეუძლებელია ვიქონიოთ რაიმე წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა პარტიის მუშაობა დიდი გაფიცვის—დროს. ამის შესახებ მე ამხანაგებს მოვუთხოვე ცნობები. იმათ დამიხატეს მე ძალიან სამწუხარო სურათი. აქ კი გამოვიდა ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელი და პროტესტი განაცხადა ყველა ამის წინააღმდეგ. მე შემიძლია ჩემი აზრი დაგისურათოთ ინგლისურ გაზეთის საშუალებით, რომლის სამი მეოთხედი სურათებს უჭირავს. და არ არის სიტყვა იმის შესახებ, რაც ჩვენ გვაინტერესებს. ძალიან ცუდია, თუ ახალგაზრდა პარტია იმ უმნიშვნელო როლის შემდეგ, რომელიც მან ითამაშა, გამოდის აქ და აცხადებს, რომ მათ ყველაფერი რიგზე აქვთ. ინგლისელი ამხანაგები ამბობენ, ლოიდ-ჯორჯის პარტიაც ხომ პატარა პარტია არისო. მიუხედავად ამისა ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ხელისუფლება ლოიდ-ჯორჯს აქვს და არა თქვენ და როცა ჩვენ გეუბნებით, მიდით მასებთან, მაშინ თქვენ გვიპასუხებთ, ლოიდ-ჯორჯის პარტიაც პატარა არისო, ეს სრულებით დაუშვებელი მდგომარეობაა. სხვა პარტიებს, როგორც მაგალითად საფრანგეთისას, ჩვენ სრულებითაც არ შევეხებივართ აქ. საფრანგეთის პარტიის გამოსვლა კონგრესზე არ გვაძლევს საბაბს გამოვიდეთ მის წინააღმდეგ. თუ საფრანგეთის ამხანაგები ფიქრობენ, რომ ჩვენი ურთიერთობანი მომავალშიც იმაში უნდა გამოიხატოს რომ ჩვენ მას არ შევეხებით და ის ჩვენ, ვერავითარ შემთხვევაში ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით. თუ აღმასრულებელი კომიტეტი საფრანგეთის პარტიის მიმართ იდგა იმ თვალსაზრისზე, რომ პირობები უნდა საკმაოდ მომზადდეს, მომავალში ჩვენ გაფაციცებით ვადევნებთ თვალყურს იმას, რამდენად საფრანგეთის პარტია ნამდვილად შეასრულებს იმ თეზისებს, რომელთა წინააღმდეგ აქ ის გამოვიდა. აქ ყველაზე მეტი ყურადღება იყო მიქცეული გერმანიის პარტიაზე, იმაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლამ კონგრესს მისცა მდიდარი მასალა ჩვენი ტაქტიკის განსახილველათ. ამ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ექნება უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო გერმანიის პარტიისათვის, არამედ მთელი კომინტერნისათვის. გერმანიის პროლეტარებს თავის სამი წლის ბრძოლით თავის აუწერელი ტანჯვით გამოვყავდით ჩვენ რუსეთის რევოლიუციის გამოცდილების ფარგლებს გარედ-გერმანიის მუშათა კლასის ბედმა არგუნა პირველ დიდ რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელობა-გარეშე ნახევრად-აგრარულ რუსეთისა, პირველ რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელობა სამრეწველო ქვეყანაში. რუსეთის რევოლიუციის გამოცდილებამ მისცა ინტერნაციონალს პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოების ლოზუნგი.

მაგრამ გზა, რომლითაც ჩვენ მივედით გამარჯვებამდის რუსეთში, შეიძლება იქნეს უფრო მოკლე კაპიტალისტურ ქვეყნებში. გერმანიის პროლეტარიატის მარტიროლოგი, მისი განვითარების წელი, მიმდინარეობა, ბრძოლა და დამარცხება, ყველა ეს წარმოადგენს ჩვენი ახალი ცდის უდიდეს წყაროს, რომელიც ჩვენ გვინდა გაცხობოთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს. თუ აქ დიდი კამათი იყო, ერთის მხრით, გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტური პარტიის და მეორე მხრით გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიის შესახებ, ეს იმიტომ კი არ იყო რომ პირველნი კარგი კომუნისტებია და მეორენი კი შეცდომებს უშვებდნენ, არამედ იმიტომ, რომ კომუნისტური მოძრაობა გერმანიაში თავის შეცდომებით და დამარცხებით აძლევს სხვა პარტიებს საშუალებას აიცილონ თავიდან შეცდომები.

მე უბრალო შემთხვევით არ მიმოვსვლა, როდესაც ვადარებ ერთმანეთს სამ მაგალითს: იტალიისას, ჩეხო-სლოვაკისას და მარტის ამბებს. მე ეს ჩავიდინე იმიტომ, რომ ამ სამი მოძრაობის შედარება იძლევა გამოსვლების შეფასების შესაძლებლობას, პარტიისათვის მათ აუცილებლობას, მის ვალდებულებას და საშიშროებასაც, რომელიც ამასთან მოელის პარტიას. ჩეხო-სლოვაკიის და იტალიის მოძრაობაში ჩვენ გვაქვს მაგალითი იმისა, თუ როგორ შედრკენ პარტიები სტიქიური დიდი პროლეტარული მოძრაობის წინაშე, ვინაიდან ისინი ვერ იყვნენ ნამდვილი კომუნისტები, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ ვერ განკურნენ ოპორტუნიზმისაგან. გერმანიის მოძრაობა გვიჩვენებს, როგორ ვერ იღებს ახალგაზრდა კომუნისტური პარტია თავის გამოსვლების დროს მდგომარეობის ანგარიშს და უშვებს შეცდომების მთელ რიგს, რომელიც ასუსტებს ფართე მასებთან კავშირს. ჩვენ აქ ბევრი ვკამათეთ გერმანულ გამოსვლის შეცდომების შესახებ, და თუ მემარჯვენეები ამაში ხედავენ თავის გამარჯვებას, ჩვენ ვამბობთ: ჩვენ ვებრძვით მემარცხენეებს იმიტომ, რომ იმათი შეცდომები აძლიერებენ ოპორტუნიზმს, აძლიერებენ ჩვენ მოსისხლე მტერს, რომლის დამარცხება ჩვენთვის უპირველესი მოვალეობაა. დისკუსიამ გერმანიის გამოსვლების შესახებ მოგ-

---

*) ჩეხელი სოციალ-ნაციონალისტები.

ეროვნული საკითხი ჩვენში

IV

საქართველოს ისტორია

ახლა გადავხედოთ საქართველოს ისტორიას და განვიხილოთ იგი ზემო აღნიშნული თვალსაზრისით, რომ გავიგოთ 1) თუ რისთვის სწარმოებდა ჩვენში ეროვნული ბრძოლა, 2) რა საფუძვლები ჰქონდა ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში და 3) როგორ გადაჭრა ისტორიამ ეროვნული საკითხი „ეროვნული პრობლემა" კავკასიის საზღვრებში.

ჩვენი თვალსაზრისი ისტორიულ კლასობრივი და ყოველი სხვა თვალსაზრისი ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ისტორია მას არ ამართლებს. თავისი თვალსაზრისით ერთ დროს იაკობ გოგებაშვილიც მართალი იყო, როცა სწერდა: „ქართველებში ბოლოს წლებში იჩინა თავი ერთმა სამწუხარო მიმართულებამ. გაისმა სიტყვით და ზნეობით ქადაგება მატერიალიზმისა ხალხო სფეროშიაც კი" და სხვა. (იხ. მისი რჩეული ნაწ. I ტომის წინასიტყვაობა),

მაგრამ დღეს ყველა ხედავს, თუ ვისთვისაა „სამწუხარო" ეს „მატერიალისტური მიმართულება", თუ როგორ ღრმათ გაიდგა ფესვები მან ჩვენს ხალხში და როგორ გაიმარჯვა მან ცხოვრებაში, როგორ განხორციელდა ის რუსეთის მუშათა კლასის გმირული ბრძოლითა და მოძრაობით. იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი რომ სწორი ყოფილიყო, მაშინ მას სწუხარება მხიარულებად შეეცვლებოდა, რადგან „მატერიალისტური მიმართულება" ქადაგების სფეროს ვერ გასცდებოდა, ცხოვრებაში ადგილს ვერ იპოვიდა. ასევე ითქმის სხვა ყველა თვალსაზრისზე, რომლებიც ისტორიულ კლასობრივ თვალსაზრისს წინაშე ქედს იხრიან და თან და თან ისტორიის არქივს ბარდებიან. ხოლო თუ ჩვენი ნაციონალ-ფედერალისტების თვალსაზრისი ჯერ კიდევ არქივს არ ჩაბარებია და გაზ. „ტრიბუნის" სახით ჩვენი ცხოვრების ზედაპირზე ისევ ტივტივებს, ეს იმ გარემოებას მიეწერება, რომ ის ცალი თვალით მაინც შეჰყურებს კლასობრივ ბრძოლას და ცდილობს ეროვნულს კლასობრივიც მიუყოლოს, აადევნოს, თუმცა ამას იგი სრულიად ვერ ახერხებს და მისდაუნებურად ხან კლასობრივს აქცევს თავში და ხან ეროვნულს. მათი ასეთი რყევის და გაურკვევლობის ნიმუშს იძლევა გაზ. „ტრიბუნის" თანამშრომელი, რომელიც ამას წინათ ეროვნულ პოლიტიკაზე შემდეგს სწერდა: „ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი კლასობრივი პოლიტიკისა".... მაგრამ „მუშათა კლასმა კი უნდა აწარმოვოს საერთო ეროვნული პოლიტიკა.... ასეთ პოლიტიკას ხშირად უწოდებენ კლასობრივ ეროვნულ პოლიტიკას ან ეროვნულ კლასობრივ პოლიტიკას.... მარქსისტების აზრით ეს არ შეიძლება"... (იხ. „ტრიბუნის" მე 18 №-ში წერილი: „კიდევ პოლიტიკაზედ"), და შემდეგ „საქართველოს მუშათა კლასმაც უნდა აწარმოვოს საერთო ეროვნული პოლიტიკა, რომ უკეთ დაიცვას თავისი კლასობრივი ინტერესები". (იხ. იქვე). ეს არის უმთავრესი, და შეიძლება ერთად ერთი „მოთხოვნა" მემარცხენე ნაციონალ-ფედერალისტებისა ჩვენში და ეს არის მთელი მათი პოლიტიკური პროგრამის ერთ დებულებაში, ერთ ფორმულაში გამოთქმა. ხოლო ჩვენი ეროვნული პროგრამის დედა დებულება იქნება იგივე გამოთქმა, თუ მას წაღმა შევაბრუნებთ და ასე ვიტყვით: საქართველოს მუშათა კლასმაც უნდა აწარმოვოს საერთო კლასობრივი პოლიტიკა, რომ კლასობრივი ინტერესებთან ერთად უკეთ დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები.

როგორც ხედავთ ამ გამოთქმაში, ამ ფორმულაში სიტყვა „ეროვნულის" ადგილზე დაისვა სიტყვა „კლასობრივი", ხოლო ამ უკანასკნელის ალაგას—პირველი და ამით შეიცვალა მთელი პროგრამის დედა აზრი, შეიცვალა „ეროვნული პოლიტიკა". ეს დღესაც ვერ გაუგიათ ნაციონალ ფედერალისტებს, ან შეიძლება მიხვდნენ კიდეც, მაგრამ ცდილობენ „კლასობრივი პოლიტიკის" და კლასობრივი ბრძოლის აღიარებით თავიანთი „ეროვნული პოლიტიკა" ეროვნული პროგრამა შემოგვაპარონ.

თუ ვერ გაუგიათ, რა გაეწყობა: თავი უნდა ვანებოთ, როგორც წინა წერილებშიაც ვუთქვით და ჩვენ ჩვენი საქმე განვაგრძოთ; ხოლო თუ ემით და მაინც ცდილობენ დიპლომატიურათ შემოგვაპარონ თავიანთი პრინციპი და მოგვაჩვენონ, რომ ეს იგივე ჩვენი პრინციპია, ჩვენი დებულებებიდან გამომდინარეობს, მაშინ ჩვენ ვეტყვით მათ: ტყუილა ირჯებით, ჩვენ ოდნავათაც ვერ მოიტყუებთ თავს და ვერ გავყვებით ეროვნულ პრინციპის წინ წამოყენებას, ვერ ვიცნობთ ეროვნულ მომენტს გადამწყვეტ მომენტათ. ჩვენ ნათლათ და გარკვევით ვამბობთ, რომ ეროვნულ ჩაგვრას სპობს, ერს ანთავისუფლებს კლასობრივი ბრძოლა და ამ ბრძოლაში მუშათა კლასის გამარჯვება—და არა პირუკუღმა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი მთლიანი კლასობრივი პოლიტიკა ეროვნულ საკითხშიაც, აქედანვე აშუქებს ყოველ მხრივ ამ საკითხს ჩვენი ისტორიულ კლასობრივი თვალსაზრისი, რომელსაც ამართლებს სავსებით როგორც სხვა ყველა ერების ისტორია, ისე ჩვენი ერის ისტორიაც.

საქართველოს ისტორიამ სამწუხაროთ არ იცის არც ერთი ისეთი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლითაც თავი ისახელეს ძველად დიდმა ისტორიულმა ერებმა: მონათა მოძრაობა ძველი რომის, „გლეხთა ომები" გერმანიის, „რეფორმაცია" ფეოდალური ევროპის, მწვალებელთა მოძრაობა რუსეთის, ქალთა მოძრაობა ინგლისის და ეროვნული მოძრაობა ირლანდიის და სხვადასხვა და სხვ; და ეს აიხსნება იმით, რომ საქართველოში კლასობრივი ბრძოლა უკანასკნელ დრომდე სუსტი და უჩინარი იყო.

საქართველოს გეოგრაფიულ-ისტორიული პირობები ასუსტებდა, ანელებდა ამ წოდებრივ ანტაგონიზმს, მთელი ხალხის ძალა და ენერგია თითქმის სულ გარეშე მტრებთან ბრძოლაში იხარჯებოდა და მხოლოთ თავდაცვის საქმეს უნდებოდა.

საკუთარი ტერიტორიის დაცვა, აი რა იყო საქართველოს ხალხის ერთათ ერთი მთავარი მისწრაფება—მიზანი.

ერთი შეხედვით თითქო უნდა გვაოცებდეს ის გარემოება, რომ ისეთ ქვეყანაში საქართველოში, სადაც ქალი თითქმის კულტათ იყო გადაქცეული, ქალთა საკითხი და ქალთა მოძრაობა სულაც არაა ცნობილი. ჩვენში ნამდვილ კულტათ იყო გადაქცეული „სამშობლო", მაგრამ ყოველთვის სუსტი და უსუსური იყო თვით ეროვნული მოძრაობა, რომლისთვისაც ასე თავს დებენ ჩვენი ნაციონალისტები. და ეს იქედან სჩანს, რომ ჩვენში ეროვნული მოძრაობის ტრადიციაც კი არ არსებობს იმ აზრით და ხასიათით, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია, „სამშობლოს" ანუ საკუთარი ტერიტორიის სიყვარული ეროვნულ მოძრაობას კიდევ არ ნიშნავს, როგორც ეს ნაციონალისტებს ჰგონიათ. ეროვნება ეს გაცილებით უფრო რთული ცნებაა, ვიდრე „სამშობლოს" სიყვარული და აი ქართველ კაცში ყოველთვის მკრთალი და სუსტი იყო ეს შეგნება. ქართველი ხალხი ახლაც ძლივ ძლივობით აერთიანებს მთელ საქართველოს კუთხეების სხვადასხვა ნაწილებს თავის წარმოდგენაში. როცა „უბრალო" ქართველს (დასავლეთისას) ეკითხებით რა ეროვნებისა ხარო, მას ხშირათ წამოსცდება ხოლმე: გურული ან იმერელიო, ქართველი მას მხოლოდ ქართლელი ჰგონია.

ასე ძლიერი იყო ჩვენში კუთხური კარჩაკეტილობა: უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში კაპიტალიზმის სუსხმა და მისმა ჩვენში შემოჭრამ იგი დღემდე კიდევ ვერ აღმოფხვრა. და ყოველივე ეს მით უფრო გაჰქრა და ეროვნულმა შეგნებამ მით უფრო მეტი ადგილი დაიკავა ქართველი კაცის გონებაში, რაც უფრო მეტათ განვითარდა და გაძლიერდა ჩვენში მუშათა მოძრაობა.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, როგორც ეს ნაციონალ ფედერალისტებს ჰგონიათ, მუშათა მოძრაობა და ეროვნული ერთი და იგივე იყოს. სრულიადაც არა!

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში მუშათა მოძრაობამ ხელი შეუწყო ეროვნების წარმოშობა-განვითარებას, ეროვნულ გაერთიანებას, მაგრამ თვით ეროვნული მოძრაობა სწარმოებს ეროვნული მეტოქეობის, მეზობელ ერებთან კონკურენციის ნიადაგზე. ეროვნული მოძრაობა ჩვენში უკანასკნელ დროის არის ამ კონკურენტული ბრძოლის შედეგი.

„სამშობლოს" ძველი სურვილი და საკუთარი ტერიტორიის დაცვა სხვაა და მეცხრამეტე საუკუნის ჩვენებური „პატრიოტობა" კიდევ სხვა.

ლეონიძეების, დადიშვილების, ორბელიანების პატრიოტობა ერთია, ხოლო ჭავჭავაძისა და წერეთლების კი სულ სხვა. ეს ჩვენ კარგათ უნდა გავარჩიოთ. ეროვნობის ელემენტი მხოლოდ მეორეგვარ პატრიოტიზმშია და არა პირველში, რომელიც მხოლოდ ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიულ ცნებას შეიცავს და სხვას არაფერს.

აი ეს მეორეგვარი ეროვნული მოძრაობა ჩვენში მხოლოთ მესამოცდაათე წლებში დაიწყო, როცა ჩვენს ქვეყანაში ბატონყმობა გადავარდა, როცა გლეხის მეურნეობა განვითარდა და უცხო კაპიტალი შემოიჭრა, რამაც საქონლის წარმოება და აღებ მიცემა გააჩაღა. „ეკონომიურმა წარმოებამ დაშალა ეროვნული წარმატებაც, ხოლო ამ უკანასკნელმა გამოიწვია ერთა შორის ბრძოლა საქართველოს ფარგლებში; აქედან გაჩნდა მძულვარება უცხო მეტოქე ერების—სომხის, ებრაელის, რუსის. ძველათ ქართველს სძულდა მხოლოდ „ურჯულო ერი: თათარი, სპარსელი, თურქი. ახლა ქართველ შეძლებულმა გლეხმა, თავადმა, ვაჭრმა და ხელოსანმა უცხო ერის ვაჭარში, ექსპლოატაციაში, ჩაგრობაში დაინახა თავისი მოსისხლე მტერი და მთელი თავისი არსებით შეიძულა ის.

მაგრამ მალე ეკონომიურმა განვითარებამ ჩვენში მიიღო სხვა სახე: გაიყვანეს რკინის გზები, ააგეს სახელოსნოები, მოაწყვეს ფაბრიკები და ქარხნები და გახსნეს მთამადნის მაღაროები და ყველა ამ ადგილებში მოგროვდნენ მუშები, რომელთაც უცხო ერის კაპიტალისტები დაუზოგველად ყვლეფდნენ, აქედან მუშებსაც უნდა სიძულვილი აღძვროდათ ამ ექსპლოატატორებისადმი, როგორც უცხოეთის წარმომადგენლებისადმი, (ეს აზიის და აფრიკის უფრო უკულტურო ხალხებში ასედაც მოხდა), მაგრამ საქართველოში მოხდა სულ სხვა.

ქართველმა მუშამ თავისთან დაინახა უცხო ერის მუშები, რომლებიც ისევე იყვლიფებოდენ იმ უცხოელებისგან, როგორც ის თვითონ, ეს ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ისიც მალე დაინახა, რომ უცხოელ მყვლეფელებს გვერდში ამოუდგა მისივე ერის შვილი ქართველი მყვლეფელი, რომელიც ქართველ მოძმესაც ისევე არხეინათ ატყავებდა, როგორც უცხოელ მუშას.

ამნაირათ მალე შეიგნო ქართველმა მუშამ, თუ ვინაა მისი მტერი მით უფრო, რომ მას ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში მხარში ამოუდგა ყველა უცხო ერების მუშები: რუსები, სომხები, თათრები და სხვა და სხვა, აქედან გაჩაღდა ჩვენში მუშათა მოძრაობა საერთაშორისო სოლიდარობის ნიადაგზე, რამაც ქართველ მუშას ერთი მხრით შეაგნებინა ის, რომ მთავარი ბრძოლა, რომელსაც ის ეწევა ორ ბანაკს შორის არის გაჩაღებული: გაყვლეფილებსა და მყვლეფელებ შორის და თვითეულ მებრძოლ ბანაკში სხვა და სხვა ერის წარმომადგენლებია თავმოყრილი. აქ გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა და მას ეროვნული ბრძოლის არაფერი ეტყვია.

მაგრამ მეორე მხრით საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან წინათ გამოსულმა ქართველმა მუშებმა ერთ საწარმოვო დაწესებულებებში თავმოყრილებმა პირველათ იგრძნეს, რომ კულტურულათ, ზნე-ჩვეულებით და ენით ერთმანეთთან უფრო ახლო დგანან, ვიდრე სხვა რომელიმე ერის მუშებთან. აქედან იცნეს მათ თავიანთი თავი, როგორც განსაკუთრებული ერის წარმომადგენლებმა და თავიანთი თავიდან გაარჩიეს სხვა ერების მუშები. მათ აშკარათ დაინახეს, რომ ამ სხვა და სხვა ერის მუშებ შორის არავითარი ძირითადი ინტერესთა სხვა და სხვაობა არაა, არსებობს მხოლოთ ერთგვარი ეროვნული განსხვავება, მაგრამ ეს მათ შორის არავითარ ანტაგონიზმს არ ბადებს.

მუშა პირიქით ხედავს, რომ კაპიტალისტისთვის სულ ერთია რა ეროვნებისაც უნდა იყოს მუშა: ის განურჩევლათ ეროვნებისა ყველას ერთნაირათ ყვლეფს. ამით მუშა იგებს, რომ სხვა და სხვა ერის მუშები ერთ ჭაპანში არიან გაბმული. სულ სხვა ამბავი ხდება მეორე კლასის ბანაკში. იქ სხვა და სხვა ერის წარმომადგენლები ერთმანეთს დაერევიან და დაუზოგველათ ყოვლად უმსგავსათ და დაუნდობლად ანადგურებენ ერთიმეორეს. ყველა ისინი ცალცალკე და ხშირათ შეკავშირებულნიც ებრძვიან თავთავიანთ მუშებს და ექსპლოატაციას უწევენ მათ, მაგრამ იმავე დროს არა ნაკლები ენერგიით და ხშირათ უფრო გაცხარებითაც ებრძვიან ერთიმეორეს და რომ ეს ბრძოლა უფრო ნაყოფიერი და მიზანშეწონილი გამოდგეს, ეროვნების მიხედვით ირაზმებიან.

და ეს მით უფრო, რომ ხშირათ ეროვნების სახელით გამოსვლა რომელიმე სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ გამოსვლას ნიშნავს. ეს გარემოება კი რომელიმე ერისა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს საკონკურენციო ბრძოლაში გამარჯვების შანსს ჰმატებს.

ამნაირათ მუშების ექსპლოატატორები ერთიმეორეს ებრძვიან, როგორც სხვა და სხვა ერის წარმომადგენლები და აქ ჩაღდება მათ შორის ეროვნული ბრძოლა.

როგორც ხედავთ ეროვნულმა ბრძოლამ ჩვენში ბოლო ხანებში მიიღო მეტოქე ერის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი, ე. ი. ის გადაიქცა წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივ ბრძოლათ და თუ მან ისეთივე „პოგრომული" სახე არ მიიღო და ჩვენმა ხალხმა დღემდე არ იცის, თუ რა არის „ანტისემიტიზმი" ან „თათარ-სომეხთა ჟლეტა" (ჩვენს ნიადაგზე ეს იქნებოდა ქართველ-სომეხთა ჟლეტა), ეს პირწმინდათ მიეწერება მხოლოთ და მხოლოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენში იმ დროს წამოყო თავი ასეთმა, ეროვნულმა შუღლმა მაგალითათ სომხების მძულვარებამ, ებრაელების აწიოკების აქა იქ ამტყდარმა ცდამ (მაგალითათ ქუთაისის გუბერნიაში) როცა მუშათა მოძრაობა უკვე დაწყებული იყო და ცნობილი „მესამე დასის" მეთაურობით ხალხში ახალი მოძღვრება, ახალი პროგრამა ვრცელდებოდა. ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის დასასრული.

ამნაირათ მუშათა მოძრაობამ, კლასობრივმა ბრძოლამ ჩვენში საქართველოში ერთი მხრით დიდათ ხელი შეუწყო ეროვნულ გაერთიანებას, ეროვნების შეგნებას ჩვენს ხალხში, ხოლო მეორე მხრით განამტკიცა მასში საერთაშორისო მუშური სოლიდარობა, ყველა ქვეყნის და ერის მუშებისადმი სიყვარული; მაშინ, როდესაც ჩვენებურმა წვრილ ბურჟუაზიულმა ეროვნულმა ბრძოლამ, ჩვენებურმა უნდილმა „ეროვნულმა მოძრაობამ" დაბადა ჩვენი ხალხის მრავალ წრეებში უცხოელებისადმი სიძულვილი, მტრობა და სურვილი უცხო ერებისგან განცალკევებისა, განმარტოებისა, ე. ი. „დამოუკიდებლობისა".

ერთი სიტყვით ჩვენებურმა მუშათა კლასობრივმა ბრძოლამ გააკეთილშობილა ჩვენებური ეროვნული მოძრაობა, ხოლო ჩვენებურმა წვრილი ბურჟუაზიის იმავე კლასობრივ ეროვნულმა ბრძოლამ გაათახსირა, გარყვნა ეს „ეროვნული მოძრაობა".

რაც რაიმე პროგრესიული და ისტორიულათ მნიშვნელოვანია ამ „ეროვნულ მოძრაობაში", ეს ყველაფერი შეინარჩუნა ჩვენში მუშათა კლასობრივმა ბრძოლამ და ბევრი რამ ახალი შესძინა მას და უმაღლესათ განავითარა.

რ. ქ.

(გაგრძელება იქნება)

ცვა თქვენ ორი დასკვნა ერთის მხრით, პარტია მოქმედებდა სწორედ, როდესაც მოუწოდა თავის წევრებს ახმარებოდა მუშათა კლასს, რომელსაც თავს დაესხა კაპიტალისტური მთავრობა. ეს იყო პროლეტართა ფართო მასების ნამდვილი რევოლუციონური გამოსვლა. მეორე მხრით, ამ მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობის დროს დაშვებული იყო პრაქტიკული ხასიათის შეცდომების მთელი რიგი. შემდეგში ამხანაგების ნაწილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მოგვეცლის ახალი ძალები და ამის გამო შექმნეს მათ ყალბი თეორია, რომელიც სთვლიდა აუცილებლად პარტიისათვის ყოველთვის მომენტში შეტევაზე გადასვლას. ჩემს მოხსენებაში მე უკვე მოვიხსენიე, რომ შეტევაზე გადაუსვლელად ჩვენ ვერ დავამარცხებთ კაპიტალიზმის ბასტილიას. პარტია, რომელშიდაც არ არის მებრძოლი სული, ღირსი არ არის პროლეტარულის სახელის ტარების. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეტევის ეს თეორია იყო ყალბი იმიტომ, რომ ის იმ შემთხვევაში არ იძლეოდა საკმაოდ ფხიზლად მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას. გერმანელი ამხანაგები თვითონ სცნობენ ამ შეცდომებს. საკმარისია გერმანიის პარტიის დოკუმენტების გადასინჯვა აპრილიდან, რომ ამაში დავრწმუნდეთ. ამხ. კუნმა და გერმანულ ამხანაგმა, რომელთაც წამოეყენებინათ ჩვენ სხვა თეზისები ტაქტიკის შესახებ, განაცხადეს ჩვენთან პირველსავე საუბარში, რომ ისინი ჩვენ თეზისებში, უკიდურესობას ხედავენ, ვინაიდან ეშინიათ, რომ დამარცხების შემდეგ ჯარი მეორე მხარეზე არ გადალახონ. ის ფაქტი, რომ გერმანელმა ამხანაგებმა ჩვენთან საუბრის შემდეგ არ წამოაყენეს არავითარი პრინციპიალური დებულებანი ჩვენ თეზისების წინააღმდეგ, ამტკიცებს, რომ ეს არ მოხდა. მე მესმის ჰამბურგელ ამხანაგის ნაღვლიანი ლაპარაკი თეზისების რამოდენიმედ შეცვლის შესახებ, გერმანიის კომუნისტური პარტიაში შემოვა დამოუკიდებელთა რიგებიდან ბევრი ამხანაგი. მათ შორის ერთი ნაწილია—ორგანიზატორები, პარტიული რედაქტორები, პროფესიონალისტები, რომელთაც არ სურდათ უცვლელობაში დარჩენა, მეორე ნაწილს შეადგენს პროლეტარების ასეული ათასები, რომლებიც ელოდნენ, თუ როგორ აგებდნენ ბრძოლას ბრძოლაზე დამოუკიდებლების და სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობის ქვეშ. იმათი მიწრაფება ბრძოლისადმი გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ისინი ჰილფერდინგისაგან განაცალკევდნენ. აქ ხელმძღვანელებმა დაუშვეს შეცდომები მარტის გამოსვლების დროს. ეს უკანასკნელები არ შეიძლება ყოფილიყო შედეგი თავდასხმის პოლიტიკისა. პროლეტარიატი ელოდა და ცენტრალური კომიტეტის დაუყოვნებლივ გაფიცვით უპასუხა ამხ. შტერნის გადასახლებას. ეს გვიჩვენებს, რომ პროლეტარულ მასებში დაგროვდა ნებისყოფა ბრძოლისადმი, ეს იყო მთავარი ფაქტორი, რომელმაც აიძულა პარტია გამოსულიყო, აიძულა იმდენად რომ ის მარტის დღეებში გადავიდა ბრძოლაში და, ვიდრე ეს შეიძლება, სასარგებლო იყო. და თუ ეხლა ჩვენ ვეტყვით ამ პროლეტარებს: „თქვენ კარგად იბრძოდით, მეორეჯერ თქვენი ბრძოლა იქნება კიდევ უფრო წარმატებული", ისინი, რომელთაც მოუსმენიათ ბევრი რევოლიუციონური სიტყვები და არა ერთხელ უნახავთ ბელადთა დაცემა, დამშვიდდებიან. ჩვენ იმათ ვეტყვით, საჭიროა ბრძოლის საგნის წონასწორება ძალის მიხედვით, ვინაიდან ჩვენი ამოცანა არის არა პროლეტარიატის მაცალის გამოყენება, არამედ მტრის დამარცხება. ჩვენ, რომლებმაც განვიცადეთ დიდი დამარცხებანი, რომლებიც გვყავდა არმიები, რომელნიც ძლიერდნენ დიდ შესაძლებლობებით, ჩვენც ვუშვებდით შეცდომებს, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება შეცდომებთან არ ჰგავს იმათ დამოკიდებულებას, რომელნიც ფიქრობენ, რომ შეცდომები გამომდინარეობენ ცუდ თეორიიდან. ჩვენ ეხლავე ცუდ თეორიაში დამარცხების შემდეგ განკუთრებულ რთულ მდგომარეობას ვხედავთ და ვილით ბრძოლას ამ შეცდომების დასაძლევ საშუალებად. გერმანიის ამბების გადათვალიერება დაგვარწმუნებს, რომ პარტიის ხელმძღვანელთა ნაწილმა საბოტაჟი გაუწია ბრძოლას. მე შემდეგ აღვნიშნავ, რომ კარგი ამხანაგების დიდი ნაწილი, რომელთა პარტიაში ყოფნა ჩვენთვის სასურველია, თანაუგრძნობდა ლევის, რომელმაც უღალატა ამ ბრძოლას, და რომ ეს ამხანაგები იღებენ ლევის გამორიცხვას, როგორც მომხდარ ფაქტს და სოლიდარობით არ ჩამოსცილდებიან მას. ამ ამხანაგებს ჩვენ უნდა ვუთხრათ: „თქვენ არა მარტო აღინიშნავდით, რომ ცენტრალური კომიტეტი შეცდომებს უშვებს, თქვენ ამასთან ვერ თანაგრძნობას უცხადებდით იმ კაცს, რომელიც იმ დროს, როცა შვიდი ათასი პროლეტარი ციხეში მიდიოდა,—ამას აქვს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა,—აცხადებდა ამ ბრძოლის რამოდენიმე პარტიული ხელმძღვანელის და აღმასრულებელი კომიტეტის ავანტიურად. თქვენ საჭირო ხართ პარტიისათვის, მაგრამ მე უნებლიედ ამისა უნდა გაუგოთ, რომ შემდეგში კომუნისტური ინტერნაციონალი არ გაპატიებს თქვენ რაიმე ამის მსგავსს".

ამ ამხანაგებს უნდა მივსცეთ კიდევ ერთი დარიგება. მათ შემოიტანეს შესწორება ჩვენი თეზისების იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ლევის გარიცხვაზე, პარტიულ დისციპლინაზე, პარტიულ კრიტიკაზე, მაგრამ შესწორებებში არ არის სიტყვა არც ლევის შესახებ, არც მის ორგანიზაციაზე და ძალში თანამშრომლობის აკრძალვაზე. ეგებ, ამას ისინი სთვლიან კრიტიკის თავისუფლებად? ჩვენ კი ამას ვთვლით ყოვლად დაუშვებლად. რასაკვირველია, ტყუილზე ნამდვილი აქ არის, როცა ლაპარაკობს, რომ პარტიულ პრესაში კრიტიკას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ამით მტერი ისარგებლებს. ჩვენ ვსთვლით კრიტიკას აუცილებლად ჩვენი მოქმედებისათვის, მაგრამ თვითეულ ამხანაგს უნდა ჰქონდეს საკმაოდ ტაქტის გრძნობა, რომ იცოდეს შესაძლებელია, თუ არა ამ შემთხვევაში საჯარო კრიტიკა. ამხ. ცეტკინი გვეკითხება, რა უნდა უპასუხოს მას, თუ მას შეეკითხება კრისპინი, როგორ უყურებს იგი მარტის გამოსვლებს. იმან უნდა უპასუხოს: „იმ პირებთან, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მარტის დღეების მოძრაობის დამარცხებას, მე კამათს არ ვმართავ". აქ არის საზღვარი, რომელიც ჩვენ გვაშორებს და საიდანაც ჩვენ არასოდეს უკან არ დავიხევთ. ჩვენთვის სასურველია, რომ ეხლა გერმანიის პარტია ფეხზე დადგეს არა წარსულზე, არამედ მომავალზე, რომ ის ემზადებოდეს ახალ ბრძოლისათვის, რომლებიც გვიახლოვდებიან მიუხედავად იმისა გვინდა ჩვენ ისინი, თუ არა. ამისათვის საჭიროა ყველა ცალკე ჯგუფების დათხოვნა. თუ დღემდი არ დაკმაყოფილდება ეს, ამ შემთხვევაში აღმასრულებელი კომიტეტი არ შეუშლის ხელს ცენტრალურ კომიტეტს იმის გამორიცხვაში. ჩვენ ეხლა უნდა შემოვიკრიბოთ სათანადოდ ძალები იმისათვის, რომ გადავლახოთ ხანის სიძნელეები, შემდეგ შევქმნათ გერმანიაში დიდი, ძლიერი, აქტიური, რევოლიუციონურად მოქმედი პარტია.

მე ეხლა გადავდივარ გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიაზე. მე უკვე აღვნიშნე, რომ იგი არის პატარა პარტია, რომელსაც აქვს პრეტენზიები ახალი ინტერნაციონალის შესაქმნელად. ჩვენ ვაქცევთ იმას ყურადღებას არა მის ფაქტიურ ძლიერების გამო, არამედ იმისათვის, რომ ის წარმოადგენს ერთგვარ მიმართულებას. თუ ზოგი თავის გამართლებას ხედავს ლენინის სიტყვებში, რომ პატარა პარტიას შეუძლია მიიზიდოს მილიონები, ამის შესახებ უნდა ვუთხრათ, რომ ამას ადგილი ექნება ისეთ ქვეყანაში, სადაც მასები ამორფულია, სადაც ისინი არ არიან ორგანიზაციულად შეკავშირებულნი დიდ ისტორიულად შექმნილ პარტიებში. დიდი ორგანიზაციები თვითეულ უნდა შექმნათ. მაგრამ ამას შეძლებთ თქვენ მასების ნდობის მოპოებით, ყოველდღიური ბრძოლით მუშათა უშუალო სასიცოცხლო ინტერესებისათვის. პარტია, რომელიც ამაში ხედავს ოპორტუნიზმს, მუდამ დარჩება პატარა ჯგუფად, რომელიც ვერას დროს ვერ დაიპყრობს ფართე მასების ნდობას. ამხანაგებო, გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიიდან, ნუ ჩაიკეტებით კარგი პროლეტარის ახლო რგოლში, რომელიც პარლამენტარიზმის და პროფკავშირებისადმი უნდობლობის გამო, ვერ ამჩნევს ნამდვილ ცხოვრებას. თუ თქვენ ამაზე უარს არ იტყვით, ჩვენი გზები ერთმანეთს დასცილდებიან. თქვენ დაედევნებით მუშათა კლასის ეჭვს და დაუტოვებთ მას [illegible]. თქვენ უკვე შესდექით ამ გზაზე. ბრძოლებში შექმნილი ჩვენი გამოცდილება ნებას გვაძლევს მივითხოვოთ თქვენგან ყველა იმის სახელით, რაც ჩვენ გვაერთებს, შედით პარტიაში, რომელიც მართალია, ჯერ არ არის იდეალური, მაგრამ რომელმაც მარტის გამოსვლების დროს გვიჩვენა, რომ უნდა და შეუძლია ბრძოლა. ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა მარჯვნივ და გაფრთხილება მარცხნივ, აი ჩვენი ხაზი, რომლის შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლია. დასასრულ, ამხანაგებო, კიდევ ერთი შენიშვნა. ზოგიერთი ამხანაგების სიტყვა არ იყო გაგებული, ისე, როგორც ეს ნათქვამი იყო. ამხანაგები, რომელთაც აქვთ დიდი რევოლიუციონური გამოცდილება, აქ აღფრთოვანდნენ, არ დაუშვათ შეცდომები, რომელნიც მომავლისაგან გამომდინარეობენ. უნდა გაიგოთ, რომ აქ ლაპარაკობდნენ სალდათები, რომელთაც დაიმსახურეს იმის უფლება, რომ გაგაფრთხილონ. რუსეთის კომუნისტური პარტია გრძნობს დიდ პასუხისმგებლობას, როგორც პარტია, რომელსაც აქვს გავლილი დიდი რევოლიუციონური გზა. თუ ის გაფრთხილებს თქვენ, ამას იქმს ის არა იმისთვის, რომ რუსეთში ყველაფერი კარგად არის და მას კიდევ შეუძლია იცადოს ოცი წელიწადი, ვიდრე თქვენ ნელის ნაბიჯით მიხვალთ გამარჯვებამდე. ჩვენ პირიქით გვქონდა საკუთარ აქ სულ სხვა ტონი გვქონდა, არსად პროლეტარიატს არ შეუძლია დარჩეს ბრძოლაში დიდხანს განმარტოებული.

აღმასრულებელი კომიტეტი გაფრთხილებთ თქვენ შეცდომებისაგან,—ეს ლევის გაგებაში ქცევისა და მისი თანამოაზრეებისადმი, რომელთაც გამოაცხადეს აღმასრულებელი კომიტეტი პუტშიზმის ცენტრად,—გაფრთხილებს თქვენ რადგან ის გრძნობს პასუხისმგებლობას. ჩვენ, რომლებმაც გავიარეთ მთელი რევოლიუციის პირველი საფეხური, ვიქნებოდით მისი ცუდი ხაზინები, თუ ეხლა გულს ფხიზელ თავს არ შევუერთებდით. ჩვენ ჯერ მართალია ამხ. ბუხარინი, რომელმაც სთქვა, რომ ყველასთან ვინც კი გაუშვებს ბრძოლისათვის ხელსაყრელ პირობებს, ჩვენ გაფრთხილების შემდეგ გვექნება ლაპარაკი სხვა კილოთი და ენით. ჩვენ უნდა გვესმოდეს არა პარტიის ორგანიზაცია, რომლის მოწყობას დიდი დრო უნდა, სადაც კომუნისტურ მანიფესტის მაგიერ უნდა კითხულობდნენ და არჩევდნენ ლენინის და ტროცკის ბროშურებს, სადაც იქნება შექმნილი ბიბლიოთეკები რევოლუციის შესასწავლად, არამედ რევოლიუციონურ არმიის შექმნა, რომელიც მზათ იქნება ბრძოლებისათვის, რომელნიც შეიძლება გამოიწვიონ უფრო მალე ვიდრე ვინმე ჩვენთაგანი მოელის. ამხ. მტერი ძლიერია, და კომუნისტური ინტერნაციონალი კარგად უნდა იყოს შეკავშირებული ორგანიზაციურად და საკმარისად წინ დახვდეს ყოველი, რომ სავსებით გაიმარჯვოს ამ მაგალ დიდ ბრძოლაში.

ჩვენ უნდა დავიპყროთ მასები კომუნისტური ინტერნაციონალისათვის, მოვამზადოთ ისინი რევოლიუციონური ბრძოლებისათვის, გავიყვანოთ ამ ბრძოლაში, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი და თავიდან ავიცილოთ ზედმეტი მსხვერპლი ჩვენი გეგმის ბურჟუაზიულ გეგმისადმი დაპირისპირებით.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

სენაკის სამაზრო რევკომის მუშაობა.

ხე-ტყის ქარხნების ნაციონალიზაცია.

რევკომის დადგენილებით აღსრულებული იქნა შუამდგომლობა უმაღლესი სამეურნეო საბჭოს წინაშე შემდეგი ხე-ტყის ქარხნების ნაციონალიზაციის შესახებ: სოფ. სენაკში—გოგიშვილის 55 ძალიანი, სოფ.—მარანში—თელიას ქარხანა—15 ძალიანი, ნოქალაქევის თემში—ძკლიას ქარხანა—12 ძალიანი, ჯანელიძეების ქარხანა 12 ძალიანი, სოფ. ბულეშეთში—გოგინაშვილის ქარხანა—14 ძალიანი, აბაშაში—თედორაძისა—9 ძალიანი და ჩიჩუასი—35 ძალიანი. რევკომმა გასცა განკარგულება ჩამოთვლილ ქარხნების სრული აღწერის შესახებ.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტი.

რევკომმა დაამტკიცა პარტიულ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი სია მაზრის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის წევრებისა: კ. ძიძიგური, ე. მაღლაკელიძე, ოჩიგავა. პ. ბადარეშვილი, ლ. გოგუა.

ბოროტმოქმედება.

რევკომმა გაარჩია საკითხი სამაზრო საგამოძიებო კომისიის მიერ აღძრული ნაგვაზაოს თემის თავმჯდომარის ბოროტმოქმედების შესახებ, რომელსაც ორი ქცევა მიწა ჩამოურთმევია ადგილობრივ მცხოვრების ჯღერკავასათვის და დაადგინა: გადაყენებულ იქნეს თემ. თავმჯდომარე ჯღერკავა თანამდებობიდან და დატუსაღებული ორი კვირით. მისი ორი ძმა, რომელნიც ასახურებენ ს. ნაგვაზაოს რევკომში მილიციონერებად, ერთი-ერთი დათხოვნილ იქნეს.

მაზრის ადმინისტრაციის გაძლიერების შესახებ.

31 აგვისტოს ქალ. სენაკში მოკლული იქნა ყაჩაღი ხოფერიას მიერ ადგილობრივი პოლიციის ბიუროს მთავარი ამხ. ლ. ჯანჯღავა. ამის გამო მომხდარ რევკომის საგანგებო სხდომაზე, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენება მაზრაში ყაჩაღების გაძლიერებისა და ადმინისტრატიული აპარატის სისუსტის შესახებ, გამოტანილ იქნა დადგენილება: ორგული სამსახურისათვის 24 საათში გადაყენებულ იქნეს მთელი მილიციის შემადგენლობა, გარდა პასუხისმგებელ ამხანაგებისა, 8 მილიციონერი მიცემულ იქნეს პასუხისგებაში და დატუსაღებული, როგორც ყოფილი ყაჩაღები, ქურდები და საეჭვო პირები. დადგენილ იქნა განიარაღება უპარტიო მასისა და დაარსება მფრინავი რაზმისა 30 ცხენოსნის შემადგენლობით. რაზმისთვის ცხენების საშოვნად გამოცხადდეს მაზრაში მობილიზაცია.

ყაჩაღობის და ბანდიტიზმთან საბრძოლველად გამოცხადებული იქმნა მობილიზაცია ყველა პარტიულ ამხანაგებისა, რომელთაც უნდა გამოიყენონ ამ საქმისთვის საზოგადოების მცხოვრებნიც.

შეშის დამზადება.

შეშის დასამზადებლად რევკომი აგზავნის ტუსაღებს, რომელთაც იძულებითი მუშაობა აქვთ მისჯილი.

გზების და ხიდების შეკეთება.

რევკომი დიდ ყურადღებას აქცევს ხიდების და გზების შეკეთების საკითხს. როგორც სხვა და სხვა ოქმებიდან ირკვევა რევკომს ხშირად აქვს მსჯელობა ამ საკითხის შესახებ და გამოტანილი დადგენილებანი.

განზრახულია შეკეთება გზების და ხიდების ახალსენაკიდან—ნოქალაქევამდი, ბაწძის, მარტვილის და სალხინოს და სხვ. ამისათვის გამოყვანილ უნდა იქნეს მცხოვრებნი და ნაზოვანი საჭირო მუშები.

ცეცხლის მქრობელი რაზმი.

რევკომთან დაარსდა ცეცხლის მქრობელი რაზმის სექცია და მოხდა რაზმის რეორგანიზაცია. აღიძრა შუამდგომლობა რაზმის 17 კაცამდე გადიდებისა და მათი ჯამაგირით და სურსათ-სანოვაგით სასწრაფოდ დაკმაყოფილების.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

პოლონეთის ულტიმატუმი საბჭოთა მთავრობას

მოსკოვი, 22 სექტემბერი (რადიო) 20 სექტემბერს მოსკოვის საბჭოში ამხ. ტროცკი გამოვიდა მოხსენებით საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამხ. ტროცკიმ სთქვა: ურიანხაის უკანასკნელ თავგადასავლის შემდეგ ცხადი შეიქმნა ის, რაც მანამდე მხოლოდ მოსაზრება იყო, სახელდობრ ფრანგ იმპერიალისტების უშუალო კავშირი სავინკოვის და პეტლიურას ბანდებთან. შეგროვილია მთელი რიგი ნამდვილი დოკუმენტები და ფოტოგრაფიული სურათები, რომლებიც ამტკიცებენ პოლონეთის გენერალურ შტაბის პირდაპირ მონაწილეობას ბანდების ორგანიზაციაში, რომელნიც თავს ესხმიან საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიას. 3 სექტემბერს საფრანგეთის მთავრობამ უთანხმოდ პოლონეთს წარუდგინა ჩვენთვის ულტიმატუმი იმ ანგარიშით, რომ ქვეყნის მდგომარეობა საბჭოთა მთავრობას მისი უარისთქმის ნებას არ მისცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთი დაპირდა პოლონეთს და რუმინეთს ყოველნაირი დახმარებას საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში. ამის გამო მთელი რიგი რყევისა და შინაგანი ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულმა მარჯვენა ჯგუფმა, და პოლონეთის მთავრობამ გუშინ წარმოგვიდგინა ულტიმატუმი, რომლის ასრულების ვადა 5 ოქტომბერია. ამ დროისათვის საბჭოთა დიპლომატები მოიმოქმედებენ ყველაფერს, რომ არა მარტო პოლონელ ხალხში, არამედ თვით პოლონელ ბურჟუაზიაშიც გაიმარჯვოს მშვიდობიანობისადმი მისწრაფებამ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოესი დღეები შეთანხმებამდი მიგვიყვანენ, რადგან მხოლოდ შეთანხმებაზე შეიძლება ლაპარაკი.

თავის მოხსენებას ამხ. ტროცკი შემდეგი სიტყვებით ათავებს: ჩვენ არ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომ ვინმეს, ვინც უნდა იყოს, უფლება ჰქონდეს ჩვენ გვიბრძანოს. აქედან ჩვენ ვამბობთ: არ ვარგებთ გულგრილობას თავხედურ ულტიმატუმის გამო. ჩვენ მზათ ვართ საქმიან საფუძველზე მოლაპარაკება ვაწარმოოთ და ვეუბნებით პოლონელ ბურჟუაზიის წრეებს: „წესიერებისაკენ მოუწოდეთ ზოგიერთებს, ვისაც საჭიროა"! ჩვენ ვეუბნებით პოლონელ მუშებს, რომ თუ პოლონელი ბურჟუაზია ვერ მოახერხებს ავანტიურისტებს წესიერებისაკენ მოუწოდოს, მაშინ პოლონეთის მუშების და გლეხების საქმეა წესიერებისაკენ მოუწოდოს პოლონეთის ბურჟუაზიას და იძულებული გახადოს გააკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ.

რეზოლიუცია ამხ. ტროცკის მოხსენების გამო. მოსკოვის საბჭომ მოხსენების გამო შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „მოისმინა რა ამხ. ტროცკის მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოსკოვის საბჭო მთელი ქვეყნიერების მშრომელთა წინაშე აცხადებს, რომ ომით დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად და სიმშილობის შედეგებთან წარმატებითი ბრძოლისათვის, რუსეთის მშრომელთ სურთ მშვიდობიანობა და მზად არიან მის დასაცავად ყოველი ღონე იხმარონ, მაგრამ მოსკოვის საბჭო არ მალავს, რომ საბჭოთა რუსეთის მტრებს საზღვარ გარედ, საფრანგეთის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით უნდათ რუსეთის მშრომელთა მთელი ძალების მშვიდობიან შრომაზე თავმოყრის მომენტი გამოიყენონ [illegible]. მოსკოვის საბჭო აცხადებს, რომ ყოველი თავდასხმა საბჭოთა რუსეთის მთლიანობასა და დამოუკიდებლობაზე შეხვდება მშრომელი მასების გამანადგურებელ წინააღმდეგობას, რომ იძულებულნი თავდასხმაზე საპასუხოდ, საიდანაც ის არ უნდა იყოს, რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა იპოვიან თავიანთ თავში ძალას თავის მტრების მოსასპობად, როგორც ისინი მოსპობდნენ მათ სამი წლის განმავლობაში. დე ყველამ იცოდეს, რომ ვერავითარი თავდასხმა რუსეთის მშრომელ მასებს მოუმზადებელს ვერ მოუსწრებს და შეხვდება სათანადო წინააღმდეგობას. მოსკოვის საბჭო წითელი არმიის ყველა თანამშრომლებისაგან მოითხოვს სიფხიზლეს, ყველა მშრომელთა ახრიდან ენერგიის დაძაბვას. მოსკოვის პროლეტარიატი მიმართავს მთელი ქვეყნიერების პროლეტარიატს, რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოების პროლეტარიატს მოწოდებით მთელი ენერგიით ჩაჰქრონ ავანტიურისტების საზიზღარი თამაში, რომელიც ახალი ომით იმუქრება, და ამით უზრუნველყონ რუსეთის პროლეტარიატისათვის შესაძლებლობა, განაგრძოს თავისი მშვიდობიანი სამეურნეო აღმშენებლობა".

საფრანგეთი პოლონეთის შანტაჟი

მოსკოვი. 22 სექ. (რადიო). ამხ. ნ. რადეკი „პრავდა"-ში აშუქებს პოლონელ მთავრობის მიერ წარდგენილ ულტიმატუმის მიზეზებს. პოლონეთის მთავრობამ, საფრანგეთის წინადადებით, წარმოგვიდგინა ჩვენ მუქარა თავისი ელჩის გაწვევისა, თუ რუსეთი არ შეასრულებს რიგის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ფულის ვალდებულებას. ეს ულტიმატუმი ჩრდილავს საკითხს—იქნებიან თუ არა პოლონეთში მოსპობილნი სავინკოვის ორგანიზაციები. პოლონეთის მთავრობის ეს ულტიმატუმი შედეგია არა მარტო საფრანგეთის ზედმოქმედებისა, არამედ ვიტოსის კაბინეტის დახობისაც. ბატონი პონიკოვსკი, რომელიც პოლონეთის მთავრობას გამოხატავს, წარმოადგენს შირმას, რომლის საშუალებით პილსუდსკი აკეთებს იმას, რასაც მოისურვებს. პოლონურ პრესაში აღნიშნავენ, თუ შესაძლებელი გახდებოდა საბჭოთა მთავრობის დამხობა, მაშინ სიმშილობის ვითარებაში თეთრი მთავრობა, რომელიც დაიჭერდა საბჭოთა მთავრობის ადგილს, ისეთ უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რომ პოლონეთისათვის სრულებით არ იქნებოდა საშიში. ვარშავაში პოლონელ მთავრობის კრიზისის მსვლელობა აძლიერებს პოლონეთის ულტიმატუმის საშიშროებას. უდიდესი ფუქსავატობა იქნება შექმნილ მდგომარეობის არარად ჩაგდება და მისი სერიოზულობის არ დანახვა.

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარ შესაძლებლობისათვის. დიპლომატიურ დამოკიდებულების შეწყვეტა კიდევ არ არის ომი, მაგრამ ნაბიჯია ომისაკენ. ეს უნდა იცოდეს ქვეყანამ, უნდა იცოდნენ ძლიერმა გლეხებმა, უნდა იცოდეს რუსეთის და მთელი ქვეყნიერების მუშებმა. საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცა არა სიტყვებით, არამედ საქმით, რომ იგი ესწრაფვის ყველა მეზობლებთან მშვიდობიანობას. თუ ეხლა ევროპიული პრესა ყველგან სავსეა ცნობებით ომისათვის რუსეთის მზადების შესახებ, ხან ფინეთთან, ხან რუმინეთთან, ხან ესტლანდიისა და ლატვიისთანაც კი, ეჭვი არ არის, ჩვენ საქმე გვაქვს საერთაშორისო ძალდატანების პირველ ცდასთან სიმშილობასთან დაკავშირებით. ეს ძალდატანება საზღვრავს საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისს პოლონეთის ნაბიჯის მიმართ. საბჭოთა მთავრობამ პირველივე მომენტიდან განაცხადა, რომ ის მზად არის სისწრაფით აასრულოს რიგაში მიღებული ვალდებულებანი, თუ პოლონეთის მთავრობა თავის ტერიტორიას არ გადააქცევს სავინკოვის ბანდიტების ბაზად. სასაცილო იქნება, თუნდა ერთი წუთიც ეჭვი შეგვეპარება საბჭოთა მთავრობის ამ განცხადებაში. საბჭოთა მთავრობის ფულის ვალდებულებანი პოლონეთის მიმართ არარაა იმასთან შედარებით, თუ რას ნიშნავს ახალი ომი. მაგრამ თავის მხრივ უარს ამბობს რა სავინკოვის ბანდების ლიკვიდაციაზე, პოლონეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ მისთვის საქმე ეხება არა რიგის ხელშეკრულების ასრულებას, ორივე მხარის მიერ, არამედ ხელშეკრულების დარღვევას, ჩაშლას. დათანხმდებოდა რა ფულის ვალდებულებათა ასრულებაზე უწინ, ვინემ პოლონეთის მთავრობა დაამტკიცებდა, რომ მას სურს სავინკოვის ბანდიტურ რაზმების ლიკვიდაცია,—საბჭოთა მთავრობა შექმნიდა სისუსტის შთაბეჭდილებას, რომელსაც თავის მხრივ მოჰყვებოდა ახალი და ახალი მოთხოვნები და, შეიძლება, ინტერვენციის ახალი ტალღა. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ ერთი ნაბიჯიც კი არ უნდა გადაუხვიოს თავის სამართლიან თვალსაზრისს. რიგის ხელშეკრულება ორივე მხარის ხელშეკრულებაა, და არა მარტო საბჭოთა მთავრობის მხრით ასასრულებლად სავალდებულო. თუ პოლონეთის მთავრობას უნდა იმ დროს, როდესაც მოახლოვებულია ზემო-სილეზიის და ვილნოს საკითხების გადაჭრა, იმ მომენტში, როდესაც პოლონეთის ფინანსები ისეთივე უარეს მდგომარეობაშია, ვინემ კერენსკის ფინანსების მდგომარეობა იყო მისი დამხობის დროს,—თუ პოლონეთის მთავრობას ამ მდგომარეობაში სურს ახალი ავანტიურა დაიწყოს, ეს ავანტიურა იქნება მისი უკანასკნელი ავანტიურა აღმოსავლეთ ევროპის სამეურნეო აღორძინების ჩასაშლელად.

პოლონეთის მთავრობა უარზეა

მოსკოვი. 22 სექ. (რადიო). (დასაწყისი არ მიგვიღია). საბუთებით რეალურ ზომების მისაღებად სავინკოვის დანაშაულობრივი მოქმედების წინააღმდეგ. პოლონეთის მთავრობა სხვადასხვაგვარი მიზეზებით უარს ამბობდა ასეთი კომისიის მოწვევაზე. მაშინ, როდესაც საბჭოთა მთავრობა ყოველ ძალას ხმარობს მოუსავლობისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად, საზღვარზე გადმოდიან ბანდიტური რაზმები, რომლებიც რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში სპობენ პურის მოსავალს და ამით დეზორგანიზაციას იწვევენ და არარად ხდიან დამშეულთადმი რეალურ დახმარებას. მაშინ, როდესაც საფრანგეთი, პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ფაქტიური ხელმძღვანელი მყვირალა დეკლარაციებს აქვეყნებს დამშეულთა დახმარებაზე, პოლონეთის და რუმინეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან პარტიზანული რაზმები, რომელთაც საფრანგეთი აწვდის იარაღს, ფულს და ამუნიციას. ამით ის ფაქტიურად შლის ჩვენს სასურსათო კამპანიას იმ ადგილებში, სადაც კარგი მოსავლის წყალობით, არის იმედი ზედმეტის მოგროვებისა დამშეულ ვოლგის მხარეში გადასაგზავნად. ზემოდ აღნიშნული ბანდიტური რაზმები ლიანდაგიდან აგდებენ და ანადგურებენ სასურსათო ვაგონებს. ყველა ამ ფაქტებს რუსეთის მუშებს და გლეხებს არ შეუძლიათ გულგრილად უცქირონ. უცხოელ სახელმწიფოების მიერ აღმოჩენილი დახმარება პირფერობას წარმოადგენს, როდესაც ამ დახმარებასთან ერთად დაქირავებული მკვლელები სურსათით სავსე ვაგონებს ხრამში ყრიან. პოლონეთის გენერალურ შტაბს არავითარ უარყოფას არ შეუძლია წინააღმდეგის დამტკიცება.

პოლონეთის ულტიმატუმი

ვარშავა. 17 სექ. (იტალიური რადიო) პოლონეთის მთავრობამ რუსეთის მთავრობას წარუდგინა ნოტა, ენერგიული სიტყვებით შედგენილი, მოითხოვენ 1 ოქტომბრამდე შესრულდეს რიგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებანი, სახელდობრ: რუსეთში დაჭერილ პოლონელ სამხედრო ტყვეების დაბრუნებაზე, სხვადასხვა ძვირფასეულობის და ქონების მიცემაზე, რომელიც საბჭოთა მთავრობამ პოლონელ მოქალაქეთ ჩამოართვა.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ამერიკა

რუსეთი და ვაშინგტონის კონფერენცია

მოსკოვი. 21 სექ. (რადიო). ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „რუსეთის ცნობილი მთავრობის არარსებობის გამო, რუსეთის კანონიერი ინტერესების დაცვა უნდა დაეკისროს მთელი კონფერენციის ზნეობრივ პასუხისმგებლობას. მეტად სამწუხაროა, რომ კონფერენციაში, ამაში მონაწილე სახელმწიფოთაგან სრულიად დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ვერ დაეკისრება და მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს რუსეთი. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კონფერენცია მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლებსაც შეეძლოთ რუსეთის კანონიერ ინტერესებს ზიანი მიაყენონ ან რაიმე ხაირად შელახონ მისი უფლებები, ამერიკელი მთავრობა იმედოვნებს და მოელის, რომ კონფერენცია დააწესებს საერთაშორისო წესებს ისეთ საერთო პრინციპებს, რომლებიც, აღმოცენებულ სიძნელეთა სამართლიან და მიზანშეწონილ ლიკვიდაციის წყალობით, გამოიწვევენ მოწონებას და მხარის დაჭერას, როგორც ციმბირის, ისე რუსი ხალხის მხრით.

ვაშინგტონის კონფერენციისათვის.

მოსკოვი, 22, (რადიო) ვაშინგტონის დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ განიარაღების საკითხი გადაჭრილი იქნება მხოლოდ ინგლისის, შეერთებულ შტატების, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის მიერ. ჩინეთის მონაწილეობა კონფერენციაში განსაზღვრული იქნება შორეულ-აღმოსავლეთის საკითხების განხილვით, რომლებიც უშუალოდ შეეხებიან მის ინტერესებს. ვაშინგტონის კონფერენცია დახურული იქნება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არ არიან განიარაღების საკითხში.

რუმინეთი

გლეხთა აჯანყებები რუმინეთში.

მოსკოვი. 22 სექ. (რადიო) ხოტინის მაზრაში აჯანყებულთა მიერ მოკლულია მემამულე ლომში, რომელიც 1919 წ. უფროსობდა რუმინელ დამსჯელ რაზმებს. მომაკვდავის ოჯახი ამოწყვეტილია—სახლკარი განადგურებულია. ეს მკვლელობა დასაწყისი გახდა მთელი რიგ აჯანყებათა სხვადა სხვა ადგილებში. მემამულეთა კარმიდამოზე თავდასხმა უფრო ხშირად გახშირდა. გამოცხადებულია საველე მდგომარეობა და აკრძალულია ღამ ღამობით მინდვრად მუშაობა. ჟანდარმერიაში მიიღეს მეფის ყოფილი „გოროდოვოები" და „ურიადნიკები". სამხედრო ნაწილები ბესარაბიის ჩადილეთით, რომელნიც შესდგებოდნენ ბესარაბიელებისა და ტრანსილვანელებისაგან, შესცვალეს მარტო რუმინელთა შემადგენლობით.

პოლონეთის ახალი კაბინეტი.

მოსკოვი. 21 სექტემბერი, (რადიო). პოლონეთის ახალი კაბინეტი შესდგა შემდეგი შემადგენლობით: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სარწმუნოების, სახალხო განათლების და ხელოვნებათა მინისტრი—ანტონ პონიკოვსკი, გარეშე საქმეთა მინისტრი—კონსტანტინე სკირმუნტი, შინაგან საქმეთა—სტანისლავ დოვნაროვიჩი, სამხედრო—გენერალი კაზიმირ სოსნკოვსკი, იუსტიციის—ბრონისლავ სობოლევსკი, საზოგადო სამუშაოთა — გაბრიელ ნარუტოვიჩი, გზათა—ბოლესლავ სიკორსკი, ფოსტა ტელეგრაფის—ვლადისლავ [illegible], სოციალურ უზრუნველყოფის და შრომის დაცვის—ლიუდვიგ დაროვსკი, პირველ პოლონეთის ყოფილი ოლქების მინისტრი—ზიგმუნდ ტრიპინსკი, სურსათის—ჟერომ ვიბოლკოვსკი, მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა—იოსებ ვაჩინსკი, ფინანსების მინისტრის თ. აღმ.—ბოლესლავ მარკევსკი,—ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თ. აღმ.—გენრიხ სტრასბურგერი, ჯანმრთელობის მინისტრის თ. აღმ.—ვიტოლდ ხოძკო.

ქრონიკა

◆ **გზატკეცილების შეკეთება.** სახელმწიფო შენობათა კომიტეტმა მიმართა შრომის კომისარს წინადადებით რათა გატარებულ იქნეს შრომის ბეგარა გზებით შესაკეთებლად ნაწილობრივ იმ სოფლებზე, რომელნიც მდებარეობენ გზა ტკეცილების ახლო. შრომის ბეგარის საშუალებით განზრახულია შეაკეთონ საქართველოს სამხედრო გზა და სხვები.

◆ **კონტროლიორების დაჯილდოვება.** რკინის გზათა ოლქთან შეთანხმებით, კონტროლიორების მუშაობის ნაყოფიერების გასაძლიერებლად წესდება მათთვის და აგრეთვე იმ პირებისთვის, რომლებიც კონტროლს უწევენ, ჯალდო 5 პროც. იმ თანხიდან, რომელიც უბილეთო მგზავრებს გადახდებათ.

◆ **ს. ს. რ. რევოლიუციონური მუზეუმის გამოფენა.** რევოლიუციონური ხასიათის პლაკატების, ფულის ნიშნების, რევოლიუციის დროის საფოსტო მარკების, რევოლიუციის პრესის, რუსული საზღვარ-გარეთული პრესისა, თეთრგვარდიელების განყოფილებების დათვალიერება შეიძლება მხოლოდ განათლების სახ. კომისარიატის ნებართვით (ლორის-მელიქოვის № 5) გამოფენა გაგრძელდება 20—29 სექტემბრამდე. გამოფენის დათვალიერება შეიძლება ყოველდღე ნაშუადღევის 3—6 საათამდე. კვირა დღეობით კი დილის 10—2 საათამდე. შესვლა უფასოა. მისამართი: მესამე ქალთა გიმნაზია; ბებუთოვის ქ. № 28.

◆ **ინსტრუქტორების გაგზავნა.** სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაგზავნილია ს. [illegible] მაზრებში 54 ინსტრუქტორი, რომელთაც გაათავეს „ცენტრალური ინსტრუქტორების ინსტიტუტი", ინსტრუქტორებს მინდობილი აქვთ მაზრების და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების მოწყობა და მათი ხელმძღვანელობა. ყველა ინსტრუქტორი მოვალეა მჭიდროთ შეკავშიროს სახალხო განათლების განყოფილების მოქმედება ცენტრთან. გარდა ამისა 14 ინსტრუქტორი, რომელთაც კურსი დაამთავრეს, დატოვებულია სახალხო განათლების კომისარიატის საორგანიზაციო ცენტრთან და 10 გაგზავნილია თბილისის მაზრაში სახალხო განათლების დარგში სამუშაოთ.

პარტიული ცხოვრება

ს. შინდისი (გორის მაზრა)

5 სექტემბერს შესდგა შინდისის თემის სოფლების საქაშეთის, არაშენდის, ახალდაბის, ვარიანის, ზემო ხვითის, შინდისის და ზემო-ნიქოზის კომიჩეიკების ყველა პარტიულ წევრთა შეერთებული კრება, სადაც დაესწრო პარტიულ ამხანაგთა უმრავლესობა.

კრების მიერ თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. მარკ. ჩლაიძე და მდივნათ ამხ. ლ. ნუცუბიძე. კრებას ხსნის დ. ცანავა და აცნობს ამხ. ანტონ აუშტროვს. დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე, 2) მოხსენება ორგანიზაციულად პარტიულ მუშაობის შესახებ, 3) მოხსენება პარტიულ დისციპლინაზე, 4) მიმდინარე კითხვები.

მოხსენებებს აკეთებს ამხ. ანტ. აუშტროვი. ამხ. ვრცლად ეხება დღევანდელ მომენტს, რის შემდეგ იგი გადადის პარტიულ დისციპლინაზედ და პარტიულ ორგანიზაციულად მუშაობაზედ. ამხ. ფართოდ აცნობს კრებას იმ აუცილებელ საქმეს, რომელიც გაკეთებულ უნდა იქნეს, იგი მოუწოდებს ამხანაგებს ენერგიულად და მტკიცედ მუშაობისაკენ და პარტიის გასამაგრებლად, რომელიც გაწმენდილი უნდა იქმნას არასასურველ და უღირსი პირებისაგან.

ამხ. აუშტროვის მოხსენებები აკმაყოფილებს კრებას. იყო მრავალი შეკითხვები და ყველა შეკითხვაზედ ამხ. მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი; რის შემდეგ კრების მიერ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია და მისალმება:

ჩვენ, შინდისის თემის ყველა სოფლების კომიჩეიკების შეერთებულმა კრებამ მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. აუშტროვის, ჩვენ ფიცსა ვსდებთ მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე აცხოველებული პარტიული მუშაობით ხელი შევუწყოთ საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობას, რომელიც დაამყარებს მსოფლიოში საბჭოთა მთავრობებს და მიიყვანს მუშათა კლასს კომუნიზმის ბრწყინვალე გამარჯვებამდე. გულწრფელ სალამს ვუძღვნით კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რუსეთის მუშურ-გლეხურ საბჭოთა მთავრობას და მის ბელადებს ლენინს და ტროცკის, მათთან ერთად ვუძღვნით მხურვალე სალამს საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ბ. მდივანს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

გაუმარჯოს მუშურ გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

კრების მდივანი ლ. ნუცუბიძე.

პროვინციაში

ზუგდიდი

დამშეულთა დამხმარე კომისიამ განაახლა თავისი მუშაობა.

ულარიბეს დაზარალებულთ მთავრობამ დაუთმო ხის მასალა სახლის აღსაშენებლად და გაუგზავნა 50 მილიონი მანეთი სიმინდის და ტანთსაცმლის შესაძენათ.

— ზუგდიდის სამაზრო რევკომი შეუდგა ხობის წყლის ხიდის შეკეთებას, ლურსმნის უქონლობა აფერხებს შეკეთების საქმეს.

— ზუგდიდის სამაზრო რევკომის განათლების განყოფილებამ მოაწყო შესანიშნავი მუზეუმი. მუზეუმი მოთავსებულია მეორე სასახლეში.

— ზუგდიდის სამაზრო რევკომს მოწვეული ჰყავს მესამე ყრილობა თემის რევკომების თავმჯდომარეების.

ყრილობა გაარჩევს მომენტის გარდა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს.

— ზუგდიდის სამაზრო რევკომის საადგილ-მამულო განყოფილება ცდილობს შეიტანოს ათი ათასი ფუთი სათესლე ხორბალი. გლეხობას სურს აღნიშნული ხორბალი კომუნალურად დამუშაოს და შექმნას ერთგვარი სახელმწიფო ფონდი, ხორბალს მოელის სამიწათ-მოქმედო კომისარიატიდან.

ა. ქ.

ჩვენი ფოსტა

პროვინციის პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებელ კორესპონდენტებს და პასუხისმგებელ მუშაკებს

მოვუწოდებთ კორესპონდენციები მიმდინარე მუშაობის შესახებ პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, სწორი და დასაბუთებული. განდევნეთ კორესპონდენციებიდან ეგრედწოდებული „თეორია" და ფრაზა.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

თბილისის სამაზრო მუშურ გლეხური ინსპექციის გ. ნ. თბილისის მაზრის მუშურ გლეხური ინსპექცია ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრის მუშურ გლეხური ინსპექციის მისი საჩივართა ბიუროს ქვე განყოფილებით, ქალაქის მუშურ-გლეხურ ინსპექციისადმი შეერთების გამო, ამის გამოცხადებიდან ყოველგვარი საჩივრები და განცხადებანი მიიღებიან ქალაქის მუშურ გლეხურ ინსპექციაში, ყოფილ ქალაქის გამგეობის შენობაში (თავისუფლების მოედანი).

ქ. თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივი

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებების, ქარხნების და ფაბრიკების ადგილკომებს, რომლებსაც უკვე აქვთ მიღებული ანკეტები—წარმოადგინონ დაუყონებლივ ამა წლის 27 სექტემბრამდი ანკეტები და საწევრო გადასახადი.

იმ დაწესებულებებს, ქარხნებს და ფაბრიკებს, რომელთაც არ აქვთ მიღებული ანკეტები უნდა მიმართონ მისამართზე კირკის ქ., № 7. ყველა პროფკავშირის წევრისათვის კოოპერატივში წევრათ ჩაწერა სავალდებულოა.

საორგ. ნ. საინსტრუქც. განყ.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამით იწვევს ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ სტატისტ. ორგანიზაციებს, ცენტრალურ დაწესებულებებს და ადგილობრივ რევკომებს, რომელთაც არა აქვთ სტატისტიკური განყოფილება, რომ უკანასკნელი ვადა ც. ს. ს.-ში კანდიდატების სიის წარმოდგენისა დანიშნულია 30 სექტემბერი, რის შემდეგაც არავითარი განცხადებანი დაწესებულებებიდან არ მიიღებიან. კურსები გაიხსნება ოქტომბრის 1 რიცხვებში.

ც. ს. ს. ამასთანავე აცხადებს, რომ ამ თვის 22-დან მიიღება თხოვნები კერძო პირებისაგან, რომელთაც აქვთ სურვილი კურსებზე შემოსვლისა.

თხოვნების მიღება წარმოებს ყოველ დღე დილის 12—1 საათამდე ც. ს. ს. შენობაში—რომის ქ. № 4.

პარტიული

შაბათს, 24 სექტემბერს საღამოს 6 საათზე მეოთხე რაიკომის შენობაში—ოლღას ქუჩა, 29, შესდგება კრება მე 4 რაიონის მდივნების, რაიონის კომისარიატებთან მივლინებულ ამხანაგებისა. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ დაესწრება გადაეცემა პარტიის გამწმენდ კომისიას, როგორც პარტიულ დისციპლინის დამრღვევი.

პასუხ. მგებელი მდივანი (ხელმოწერილი)

— ყველა ამხ კომუნისტ ქალებს პარტიული დისციპლინის წესით თბ. კ—თან არსებული ქალთა განყოფილება იწვევს ყველა კომუნისტ ქალებს, ხუთი დღის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნებისა, გამოცხადდნენ თ. კ. ქალთა განყოფილებაში ბლანკების [illegible]. ქალთა განყოფილების გამგე ელ. წულუკიძე

სხვა და სხვა

— სახელმწიფო საოპერო თეატრში იძლევა ქირით 1921—22 წ. სეზონში თეატრის ბუფეტები და საკონდიტრო. მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადება დაბეჭდილ პაკეტებით თეატრის გამგეს სახელზე, პაკეტზე ზედწარწერით „ბუფეტის იჯარა", „საკონდიტროს იჯარა". პირობების გაგება შეიძლება თეატრის კონტორაში. განცხადებები მიიღება ამა წლის 26 სექტემბრის დილის 10 საათამდე.

ტირაჟი 10.000 ნ. დ. ს. გ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა [illegible] ქ., № 6.